<u>საქართველო: შიდაპოლიტიკური ქრონიკა</u>
2017 წლის მარტი

2 მარტი - საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი მფლობელის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება

6 მარტი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მედია ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც მედია გარემოს და მის განვითარებას დააკვირდება

9 მარტი - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი პროკურატურის მიერ ე.წ. ციანიდის საქმეზე დაწყებულ გამოძიებას ”ენდობა და იმედოვნებს, რომ იგი მაქსიმალური გამჭვირვალობით წარიმართება და დროულად დადგინდება ობიექტური ჭეშმარიტება

11 მარტი - ბათუმში არასწორი პარკირებისთვის დაჯარიმებით დაწყებული შელაპარაკება ძალადობაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც ასობით ბათუმის მკვიდრმა, როგორც მათ განაცხადებს, ადგილობრივი სამართალდამცავი სტრუქტურების „მკაცრი“ პოლიტიკა გააპროტესტა.

12 მარტი - სეპარატისტული აფხაზეთის 35-წევრიან პარლამენტში არჩევნების პირველი ტური შედგა, 26 მარტს მეორე ტური.

13 მარტი - საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა კამპანია "კონსტიტუცია ყველასია" თელავიდან დაიწყო.

13 მარტი - ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ბათუმის არეულობების რამდენიმე მონაწილეს, რა დროსაც პოლიციის და კერძო პირების მანქანები დაიწვა, დაზიანდა მაღაზიები და ქალაქის ინფრასტრუქტურა, ჯარიმები შეუფარდა.

22 მარტი - საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ კანონპროექტზე დაძლია. პრეზიდენტმა აღნიშნულ კანონპროექტს ვეტო 20 მარტს დაადო.

23 მარტი - გაიმართა როვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელსაც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უძღვებოდა და პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო. განიხილეს შავი

ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, ნატო-საქართველოს ურთიერთობები, თავდაცვის რეფორმა და ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სტრატეგიის შესახებ პრეზიდენტის ინიციატივა.

25 მარტი - ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ არხის თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ მათ გადაწყვიტეს მიიღონ ამჟამინდელი მფლობელების, ძმები გიორგი და ლევან ყარამანიშვილების შემოთავაზება, რომლის მიხედვითაც საკონტროლო პაკეტი ტელეკომპანიის თანამშრომლებს გადაეცემა. საკონტროლო პაკეტის მართვის მიზნით „შპს რუსთავი 2 ჩემია“ ჩამოყალიბდება

28 მარტი - პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების დღეს განაცხადეს, რომ ოკუპირებული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლით სარგებლობა შეუძლიათ

29 მარტი - მთავრობა თვითმმართველი სტატუსის მქონე ქალაქების რაოდენობის 12-დან 5-მდე შემცირებას ვარაუდობს, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიასაშუალებების წარმომადგენელთა ნაწილი აპროტესტებს. 120-მდე არასამთავრობო და მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე განცხადება გაავრცელეს, რომელშიც აცხადებენ, რომ თვითმმართველი ქალაქების გაუქმება დაუშვებელია.

31 მარტი - თბილისის საქალაქო სასამართლომ სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლების მაია რჩეულიშვილის და მისი დის რუსუდან კერვალიშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მათ 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2017 წლის აპრილი

5 აპრილი - აშშ–ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) დაკვეთით ჩატარებული კვლევის თანახმად, მმართველი პარტია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო პოტენციურ ამომრჩეველთა 30%-იანი მხარდაჭერით სარგებლობს; მას მოს-

დევს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 15% და მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო - 8%-ით.

7 აპრილი - პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ქუთაისში საქართველოს პარლამენტში მეოთხე ყოველწლიური მოხსენებით გამოვიდა

9 აპრილი - გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები ე.წ. სამხრეთ ოსეთში. არჩევნების შესახებ 17 იანვარს გამოცხადდა.

9 აპრილი - რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის თანაშემწემ, ვლადისლავ სურკოვმა, რომელიც სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხებს კურირებს, რუსულ მედიას განუცხადა, რომ ანატოლი ბიბილოვის გამარჯვება „პროგნოზირებადი“ იყო.

11 აპრილი - საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ უარყო ბრალდებები, რომ კომისია პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებას ისახავს მიზნად

12 აპრილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ მთავრობას სივრცითი მოწყობის 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა წარუდგინა.

18 აპრილი - საქართველოს ოფიციალურმა პირებმა დაგმეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის დაგეგმილი ვიზიტი სეპარატისტულ აფხაზეთში.

21 აპრილი - პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, რომელსაც მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის პროცესზე მმართველ პარტიასთან უთანხმოება აქვს, მწვავედ გააკრიტიკა კონსტიტუციის პროექტის ტექსტი, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ შეადგინა და რომელიც ქართულმა მედიამ 20 აპრილს გაასაჯაროვა

21 აპრილი - შვიდმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებიც საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ, 22 აპრილს დაგეგმილი კომისიის ბოლო შეხვედრის წინ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს.

22 აპრილი - სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ბოლო შეხვედრის წინ შვიდმა ოპოზიციურმა პარტიამ ოფიციალურად და-

ტოვა კომისია იმ ცვლილებების პროტესტის ნიშნად, რომლებიც, მათი თქმით, მმართველი პარტიის ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს ძალაუფლებას კიდევ უფრო გააძლიერებს.

22 აპრილი - 25-მა ორგანიზაციამ, მათ შორის პროფკავშირებმა, ახალგაზრდულმა გაერთიანებებმა, აკადემიურმა პლატფორმებმა და პოლიტიკურმა პარტიამ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სახელზე მიმართვა გაავრცელა, სადაც კონსტიტუციის 94-ე მუხლის გაუქმებას ითხოვენ, რომლის მიხედვითაც, გადასახადის გაზრდა (გარდა აქციზისა) და ახალი გადასახადის შემოღება მხოლოდ რეფერენდუმის გზითაა შესაძლებელი.

24 აპრილი - საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2017-2020 წლების თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა გამოაქვეყნა.

28 აპრილი - პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ირაკლი კობახიძემ გიორგი მარგველაშვილი საკონსტიტუციო რეფორმის პროცესის ჩაშლაში დაადანაშაულა და 2018 წელს არაპირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებით დაიმუქრა, ნაცვლად თავდაპირველად შემოთავაზებული პირდაპირი არჩევნებისა, 28 აპრილს, ახალციხეში კამპანიის „კონსტიტუცია ყველასია“ ფარგლებში საუბრისას, გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარე კონსტიტუციის თაობაზე „ვაჭრობასა“ და ამ დოკუმენტში „რაღაც შიდა ინტერესების ჩადებაში“ დაადანაშაულა.

29 აპრილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ სხვადასხვა მედიასაშუალებების მხრიდან მოსამართლეების და სასამართლო სისტემის "შეურაცხმყოფელი" განცხადებების გამო სპეციალურ განცხადება გაავრცელა და გამოხატვის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტების გამო საჯარო დისკუსიების დაწყების ინიციატივით გამოვიდა

<u>საქართველო: საგარეოპოლიტიკური ქრონიკა</u>

2017 წლის მარტი

1 მარტი - კრის აგიუსმა და ანტონიო ტაიანიმ, ევროკავშირის საბჭოს და ევროპარლამენტის სახელით, პირველ მარტს ხელი მოაწერეს რეგულაციას, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს 90 დღით შენგენის ზონაში უვიზოდ ყოფნის საშუალებას მისცემს.

1 მარტი - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა უარყო იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთმა შესაძლოა შეცვალოს სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების გადაწყვეტილება.

1 მარტი - გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტიერესის პრესსპიკერმა, სტეფან დუჟარიკმა „წუხილი“ გამოთქვა აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე მდებარე ორი გამშვები პუნქტის დაგეგმილი დახურვის გამო.

1 მარტი - სომხეთის პრემიერ-მინისტრმა კარენ კარაპეტიანმა სომხეთის პარლამენტში გამოსვლისას უარყო ინფორმაცია, რომ 23-24 თებერვალს მისი თბილისში ვიზიტის დროს რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთის გავლით რკინიგზის შესაძლო აღდგენის საკითხი განიხილეს.

2 მარტი - ნატოს პრესსპიკერმა, ოანა ლუნგესკუმ „შეშფოთება“ გამოხატა აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე მდებარე ორი გამშვები პუნქტის დაგეგმილი დახურვის გამო

2-3 მარტი - ნატოს სამხედრო კომიტეტი, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო მაღალჩინოსნებისგან შედგება, საქართველოში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა.

3 მარტი - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება დროებით შეაჩეროს.

7 მარტი - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს 2 მარტის განაჩენის აღსრულების დროებით შეჩერება „შემდგომ პროცედურებამდე“ გაახანგრძლივოს.

8 მარტი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრებთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით რომს სტუმრობდა, სადაც ერთობლივ საქართველო-იტალიის ბიზნეს-ფორუმში მიიღო მონაწილეობა და თავის იტალიელ კოლეგას პაოლო ჯენტილონის შეხვდა.

12 მარტი - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სოციალ-დემოკრატიული პარტიების გლობალური ქსელის, პროგრესული ალიანსის, გამგეობის წევრად აირჩიეს

14 მარტი - რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოიწონა შეთანხმება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ცალკეული დანაყოფების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესვლის შესახებ“, რომელიც სეპარატისტული რეგიონის სამხედრო დანაყოფების რუსეთის შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში შესვლას უზრუნველყოფს.

16 მარტი - საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბაქოში ჩავიდა, სადაც უსაფრთხოების საკითხებზე მე-5 გლობალურ ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

19 მარტი - რუსეთის ფედერაციამ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის „უკანონო ოკუპაციით და ანექსიით“ სრულად უგულებელყო „უკრაინის კანონმდებლობა და კონსტიტუცია ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმები და პრინციპები“, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყირიმის ანექსიის სამი წლისთავთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში

20-22 მარტი - ნორდიკულ-ბალტიური რვიანის წევრი ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეები და მოადგილეები საქართველოს ესტუმრნენ რეგიონული თანამშრომლობის ფორმატში შეხვედრის გასამართად და საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებებისთვის მხარდასაჭერად.

21 მარტი - რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მოსკოვში სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ლიდერს ლეონიდ თიბილოვს შეხვდა. მხარეებმა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები და სეპარატისტულ რეგიონში „უსაფრთხოების, თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების საკითხები“ განიხილეს.

23 მარტი - საქართველოდან სომხეთში პორტატული სარაკეტო-საზენიტო კომპლექსის შესაძლო ტრანზიტის შესახებ სომხეთის ეროვ-

ნული უსაფრთხოების სამსახურის 22 მარტის განცხადების კომენტირებისას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა, რომ „ასე გადაჭრით არ შეიძლება თქმა“, რომ შეიარაღება საქართველოს გავლით შევიდა სომხეთში.

24 მარტი - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისი გააკრიტიკა ბოლო დღეების განმავლობაში მთელი რიგი „პროვოკაციული განცხადებებისა და ქმედებების გამო“ და ქვეყანა 28-29 მარტს დაგეგმილი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მორიგი რაუნდის ჩაშლის მცდელობაში დაადანაშაულა.

24 მარტი - გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ 34-ე სესიის ბოლო დღეს, საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ რეზოლუცია მიიღო. დაადასტურა რა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, საბჭომ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისისა და სხვა საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებისთვის სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „დაუყონებლივ შესვლის“ უფლების მინიჭება მოითხოვა.

27 მარტი - უკრაინაში განხორციელებული ვიზიტის დროს, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სუამის სამიტში მიიღო მონაწილეობა, უკრაინის პრემიერ-მინისტრთან, ვოლოდიმირ გროისმანთან, მოლდოვას პრემიერ-მინისტრთან, პაველ ფილიპთან და აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერთან, ისმათ აბასოვთან ერთად. ლიდერებმა სუამის აღორძინების პირობა დადეს

28 მარტი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრებთან, დეპუტატებთან და სტუდენტების ჯგუფთან ერთად ათენში გაემგზავრა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების აღსანიშნავად

28 მარტი - შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების აღსანიშნავად პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის წევრებთან, დეპუტატებთან და სტუდენტების ჯგუფთან ერთად ბრიუსელში ჩავიდა. კვირიკაშვილი ბრიუსელში ევროკავშირის ლიდერებს შეხვდა.

28 მარტი - გაეროს უშიშროების საბჭომ, უკრაინის თხოვნით, დახურული სხდომა გამართა, რომელზეც სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელეს.

30 მარტი - პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ევროკავშირში სიმბოლურად უვიზოდ გაემგზავრა და ლიტვას ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა.

29-30 მარტი - ევროპის სახალხო პარტიის კონგრესს მალტაში ასევე ესწრებოდნენ ორი ქართული ოპოზიციური პარტიის - მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - წარმომადგენლები.

30 მარტი - რესპუბლიკელმა და დემოკრატმა სენატორებმა როჯერ უიკერმა და ბენ კარდინმა 30 მარტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია წარადგინეს. შესასრულებლად არასავალდებულო რეზოლუცია, რომელიც სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტს წარედგინა, „მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ცალსახად განაცხადოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არანაირ გარემოებებში არ აღიარებს რუსეთის ფედერაციის დე იურე ან დე ფაქტო სუვერენიტეტს საქართველოს რომელიმე ნაწილზე, მის საჰაერო სივრცეზე ან მის ტერიტორიულ წყლებზე, მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე/სამხრეთ ოსეთზე.

31 მარტი - მოსკოვმა და ცხინვალმა ხელი მოაწერეს ახალ სამხედრო შეთანხმებას**,** რომელიც სეპარატისტული რეგიონის სამხედრო დანაყოფების რუსეთის შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში შესვლას უზრუნველყოფს.

2017 წლის აპრილი

4 აპრილი - Freedom House-ის ყოველწლიური კვლევის მიხედვით 2016 წელს საქართველოს დემოკრატიულობის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა.

6 აპრილი - აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში საქართველოს ელჩს აშშ-ში, დავით ბაქრაძეს უმასპინძლა

6 აპრილი - დემოკრატმა კონგრესმენმა სტივ კოენმა, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (ჰელსინკის კომისია) წევრმა და რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ჯონ შიმკუსმა, House Baltic Caucus-ის თანათავმჯდომარემ, წარმომადგენელთა პალატას ორპარტიული რეზოლუცია წარუდგინეს, სადაც ნატოსა და აღმოსავ-

ლეთ ევროპის წევრი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მიმართ ძლიერ მხარდაჭერას გამოხატავენ

7 აპრილი - „ამერიკის შეერთებული შტატები გმობს გადაწყვეტილებას, რომ 9 აპრილს ჩატარდეს რეფერენდუმი სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციური სახელის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიად გადარქმევის თაობაზე“, განაცხადა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მოვალეობის შემსრულებელმა მარკ ტონერმა.

8 აპრილი - „ევროკავშირი არ აღიარებს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც 9 აპრილს ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები და საქართველოს სეპარატისტული რეგიონის, სამხრეთ ოსეთის სახელის გადარქმევაზე რეფერენდუმი იმართება“, ამის თაობაზე საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ფედერიკა მოგერინის პრესსპიკერმა განაცხადა

11 აპრილი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მიხეილ ჯანელიძე ერევანს ესტუმრა, სადაც თავის სომეხ კოლეგას, ედუარდ ნალბანდიანს, პრემიერ-მინისტრ კარენ კარაპეტიანს და პრეზიდენტ სერჟ სარგსიანს შეხვდა

13 აპრილი - ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ელიოტის საერთაშორისო საქმეთა სკოლაში ალიანსის როლის და მომავლის შესახებ გამართულ შეხვედრაზე გამოსვლისას ნატოში საქართველოს მისწრაფებებსაც შეეხო. სტოლტენბერგის თქმით, საქართველო „შთამბეჭდავ რეფორმებს“ ახორციელებს.

18 აპრილი - ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამედ ჯავად ზარიფი თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ესტუმრა.

18 აპრილი - საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, რომელიც საფრანგეთს სტუმრობდა, თავის ფრანგ კოლეგას ჟან-ივ ლე დრიანს შეხვდა.

18 -19 აპრილი - სოხუმში „სამუშაო ვიზიტით“ ჩავიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.

20 აპრილი - პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სიტყვით გამოვიდა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მეოთხე ფორუმზე, სადაც უსაფრთხოების სფეროს ქართველი და უცხოელი ექსპერტები შეიკრიბნენ

20-21 აპრილი - უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი მთავრობის წევრებთან და ბიზნესმენებთან ერთად საქართველოს ეს-ტუმრა

21 აპრილი - ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების 1284-ე შეხვედრაზე საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორბიორნ იაგლანდმა მე-15 კონსოლიდირებული ანგარიში „კონფლიქტი საქართველოში“ წარადგინა, რომელიც 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის მარტამდე პერიოდს მოიცავს და წინა კონსოლიდირებულ და ასევე საქართვე-ლოს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთ-ხით არსებული ვითარების შესახებ სამდივნოს ანგარიშებს ეყრდნობა.

21 აპრილი - საქართველოს პარლამენტმა 21 აპრილს ენერგეტი-კულ გაერთიანებაში ქვეყნის გაწევრიანების შესახებ შეთანხმების რა-ტიფიცირება მოახდინა.

22-23 აპრილი - პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ორ-დღიანი ოფიციალური ვიზიტით ირანის ისლამურ რესპუბლიკას სტუმრობდა, სადაც პრეზიდენტ ჰასან რუჰანისთან, ვიცე-პრეზიდენტ ესჰაყ ჯაჰანგირისთან და ისლამური საბჭოს მეჯლისის თავმჯდომა-რესთან ალი ლარიჯანისთან გამართა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპარსეთის ყურე-შავის ზღვის სატრანსპორტო და სატრანზი-ტო დერეფანს

26 აპრილი - პარიზში არსებული მედიის უფლებათა დამცველი ჯგუფის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ (Reporters Sans Frontières - RSF) მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ კვლევაში საქარ-თველოს რეიტინგი 2016 წელს უცვლელი დარჩა.

26 აპრილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირი-კაშვილი ოფიციალური ვიზიტით რუმინეთს სტუმრობდა, სადაც პრემიერ-მინისტრ სორინ გრინდეანუს, პრეზიდენტ კლაუს იოჰანისს, დეპუტატთა პალატის პრეზიდენტს ლივიუ დრაგნეას და სენატის პრეზიდენტს კალინ პოპესკუ-ტარიჩეანუს შეხვდა.

28 აპრილი - Freedom House-ის პრესის თავისუფლების შესახებ ყოველწლიურ კვლევაში საქართველოს რეიტინგი ზედიზედ მესა-მე წელია ეცემა, თუმცა ქვეყანა კვლავ „ნაწილობრივ თავისუფალის“ კატეგორიაში რჩება.